


# "სელოფენებს"



№ 1

ქ ვ ი ო ა ნ 17 ლ ვ ი ო მ ბ ი ს ო ვ ა

1910 წ.

ველოდ. ველოდ, მეგრამ  
 იოსები არ მოვიდა, შემდეგში შეხატობინეს, რომ იოსებ-  
 ბი წუხულ დაიჭურეს, ეს მაკნობს ე. გენიამ და ი. გრი-  
 შაშვილმა, ძალიან მსუქანია ეს რომ გავიგე, მეგრამ რას  
 უშველივით. ბევრი ვფიქრობდი რა გვექნა მათ გაწ-  
 ყობილი ქურაღლისთვის, მენანებოდა ჯერ იოსების შრო-  
 მა და მერე კიდევ ჩემი. ავლენით და აწნაირათ მოვიბა-  
 რეთ: სამელო გამოუცვალეთ: "ოიტიო და ცხოვრება"-ს  
 მაგიერათ ააღწახნა ხელაგნება: სათაურათ დავერჩეით  
 ჩემი რედაქციო-გამომცემლობით, დავებულებთ და გათე-  
 და კიდევ: არც ჩემი შრომა დაიჭრება, არც იოსებისა.

სელოფენებს  
 ანაწილი  
 ანაწილი  
 ანაწილი



† თავ. დავით გიორგის ძე ერისთავი  
 20 წლის კარდაცვალების გამო

ი. ივანიშვილი  
 ანაწილი და ი. ივანიშვილი  
 ანაწილი  
 ჩემი "სელოფენებს"  
 ცაბერიანი და  
 გ. მამუკაშვილი

7  
 1.5  
 გ. მამუკაშვილი და  
 გ. მამუკაშვილი და  
 ანაწილი  
 (ი. ი. ივანიშვილი)  
 ანაწილი

230

# „ხელეუვნება“

## 10 ღვიზობისთჳმ 1910 წ.

**ხელოვნება, მხოლოდ** რაც დრო ვადის, **წმინდა ხელოვნება.** უფრო ვრწმუნდებით, რომ ქართული თეატრი განახლების გზას მტკიცედ დაადგა.

გასულ სამშაბათს — 5 ღვინობ. — გამართულმა „სლიტერატურთ სდამომეკლდისმს“ ეს რწმენა უფრო განვემტკიცდა.

ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელი — პოეტი, ბელეტრისტი, მსახიობნი, მხატვარნი, მოქანდაკენი, მოღვეყვეენი, მუსიკოსნი ურთიერთს გაეჯობრნენ — დამსწრეთ ვინ უფრო ასიამოვნესო.

და ვინც ამ საღამო მეჯლისის დაესწრო, ძნელად დავიწყებს მუნ განცდილ წუთებს.

ქართ. ღრამ. საზ-ის გამეგობამ ფართდ გონიერული საქმე დაიწყო. მხოლოდ ერთი რამ გვინდა შევნიშნოთ: „საღამოში“ თითქოს განგებ მხოლოდ ერთი ჟგუფის მწერლები იღებდნენ მონაწილეობას. ეს არ შეეფერება თავის წოდებას: თეატრი, ხელოვნება, საჯ-გუფო საქმე არ არის და ამიტომ აუცილებლად სპიროა ამისთანა საღამოებში სხვა და სხვა ჯგუფის მწერლებმაც მიიღონ ხოლომე მონაწილეობა.

ხელოვნება მხოლოდ წმინდა ხელოვნებად უნდა დარჩეს და რადენადაც იგი დამოუკიდებელი იქმნება, ვსთქვათ, სხვა და სხვა პარტიის დიქტატურისაგან, — იმდენად წმინდათ და სისწორით ემსახურება თავის დანიშნულებას..

**„ახალი აზრი“** — ს ჩვენი გლეხი ამბობს — **კაცს ძველ მოაზრეს.** თუ არ უნდა — რიეუზე ქვას ვურ დანახავსო. ასე თიქმის ერთს ჩვენს მოკამათეხედაც, რომელიც კახ. „ახალი აზრის“ შესამე სომერში გვედავება — ჩვენს ადრულ სვანსე —

კლასიურთ თუ არს კლასიური ხელოვნება? სომეხსროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰტოცემულს ჩვენს მოკამათეს ადამიანის პიროვნება და სვამითო სვანის პრინციპიალური მსარე ერთმანეთისაგან ვერ გავრჩევთ, ვერ შეუგნებთ, თუ არ უნდა შეიგნოს, რომ „ჰტოცოსნ მტერთა შორის მოცეკუელი ნამუსია“, მოგვგვამის და არს სვადრდისა ეპიტეტითი ვვამოის..

ასე ავუებთ მსოფლდ ძველი „მოაზრენი“ რომელსაც, სოფანელი რომ შემთავადებთ სოფლქ, ღანსდღვს მოჭეკუბანს. ეს სვადრდისი არ არის, მით უმეტეს არ ჰჭეკუბის იმ კაცს, ვისც ხელოვნება და მისი სემეფუო რადმე მახნის..

სამუყსროთ ამისთანა მოაზრდამრესთან კამათი, ვინაიდან — მთებური სსუფლებით — უბრდლა გრძელ-გრძელი და დემოკრთური ფრანსებით კამათით — სკითხის დედ აზრი სნელში ეხევეს, ჰემ-მარტიტებს ჰრდლით ეუენისო... მკრამ იძლეუელი ვართ გვეუზსუხით.

ეველს ჩვენ „გამომცხევა“ მეთაურებში, როცა კო ხელოვნებაზე ჩამოგვიტოდა ღანსდღვით, ერთი და იგივე აზრი გამოგვითქვამს, ერთი და იგივე დედ აზრი გვიღიარება, სხვად სხვ მსრით გავუქებული, სოლო ჩვენი მოკამათე, იმის მტეერ რომ ჩვენი შეხედულებას დადრდვოის, სვკოის მსარს შეძრებს და ამსუ გვედავება რაც კამათის სვანს არ შეადგენს,

ჩვენ ვამბობთ და ვამბობთ, რომ ხელოვნებას არ სქანს სამშობლო, ერთყნება, კლასი, ჰარტია, რომ ხელოვნება ერთია, ჰუნტრტული, რომ ეოველი ჰემშობიტი ხელოვნური ნაწარმები, რომელი ჰარტიის წევრისსვანც უნდა იუის შემქნილი, ერთსირად აღძრავს, ამომრძეკებს ადამიანის სულის ვუნსულებს; რომ მსოფლდ ჰარტიის გარეშე მდგომი ხელოვნება მოუწოდებს კაცობრობას უმსდღეს იდეალეიასკენ... იგი გვეუბნება — **რად** კამოსტეული,



ჩვენ მგავს გარდა ვიბობთ—როგორაა გამოსატყუ-  
ლი? ჩვენს უურადღებს აბურთას სისრულე, სრულ-  
ყოფა, უსავერსადობა, სკუნის შინაარსთან, სულთან  
ერთად გამოსატყულების ფორმაც, ხოლო ჩვენა მო-

კამათე სიტუქვს პანსუ აგდეს, სიზიფის შრომა  
უკანდა და „წულის ნაყვას“ მიჰქიდა...  
რასი გამოსატყუებს მისი „წულის ნაყვას“? —  
ამასე უმეღვ.



## მსახიობის აღსარება

(სლატერატურა სლამო-მუკვლისზე წავითხული ა დანაბისთევს)

დღეს რომ მეფე ვარ, ხვალ მწყემსი;  
ხან გლახაკი ვარ, ხან გმირი;  
რომ მეტირება, ვიციანი  
და მეციდება, რომ ვტირი.

—:—

ცხოვრებასავით ხელობაც  
ეს ჩემი ცვალებადია:  
რაც ვარ ნამდვილად არა ვარ  
და რაც მაქვს, არ მამბადია!

—:—

სულ სხვა ვარ სცენის გარეშე,  
მაგრამ ეს თქვენთვის ერთია;  
ყველას თანწორად რომ ჰხედავს  
ის მხოლოდ ერთი ღმერთია.

—:—

როცა სცენაზე მორთული  
გითვალისწინებთ მდიდარსა,  
ვადგენ მის მედიდურობას,  
გიხატავთ სახლსა და კარსა.

—:—

თქვენ რას მიხედვებით, რომ იმ ღროს,  
როცა დიდებით სრული ვარ,  
ნამდვილად ჩემს ოჯახში კი  
ლუკმასაც მონატრული ვარ?!

თქვენ აქ ტაშს მიკრავთ, მამხნევებთ,  
იძახით: „ვაში, ვაშა“.  
მე ვფიქრობ: ვი თუ კოლმა  
ლობიო არ მოხარშაო?!

—:—

თქვენ წინ კი ლლი უკადრი,  
მდიდარი, მეფე ძლიერი,  
შინ რომ მივიღივარ, ქილოფზე  
უნდა მივევლო მშვიერი.

—:—

და ძილში მაინც თუ ჩამყვა  
ის, რაც ატყუებს სხვის თვალსა,  
ნუგეშად ისიც კარგია...  
მადლობას ვსწორავ უფელსა.

—:—

მთელ წელიწადში ჩვენ ერთ დღეს  
შეგხარით როგორც აღდგომას,  
რომ მაშინ მაინც ვეღირსოთ  
კოლმეფისს ჯერზე გაძლომას.

—:—

ეს სანატრელი, ტკბილი დღე,  
სახელად ბენეფისია,  
მაგრამ ვი რომ ისიც კი  
სახრავად მაინც სხვისია!

აკაკი



ელ. ჩერქეზიშვილი




ვალ. გუნია



ნ. ჯავახიშვილი

## ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან



თ. დავით გიორგის ძე ერისთავი

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემს დღეთა გარე მოველო, საღამოს მისთვის ჩავიდვ, რომ დღლა უფრო ვაძვივლო...

### ნ. ბარათაშვილი

აი მცნება ყოველი ქეშმარიტი იდეალის-ტისა, რწმენით გასაღკდევებულის კაცისა...

ეს სიტყვები გვაგონდება, როდესაც დავით ერისთავის ცხოვრება-მოღვაწეობას ვითვალისწინებთ, განსაკუთრებით როგორც სათვატრო მოღვაწისას, რომელმაც „ძღვინა და საკურთხაღ სამარადისოდ“ „სამშობლო“ დავუტოვა. ვინ იყო დავით ერისთავი?

მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამო-ნახეო, თუ ხალხის ბრძნულად გამოთქმულ ამ აზრს როდისმე ჰქონია საფუძველი, მით უმეტეს დავით ერისთავზე ითქმის: მამა—მოთვატრე, დრამატურგ-აქტიორი, მწიგნობარი, ოჯახი—ლიტერატორ-მსახიობთა წრედ გარდაქცეული, რასაკვირველია, ჯაყთ ერისთავს წარმოშობდენ: დავით ერისთავი დაიბადა ს. ხილისთავს, გორის მაზრაში, 1847 წ. 28 აგვისტოს. მამა მისი იყო ქსნის ერისთავთა ჩამომავალი მება-ტრანე გიორგი ერისთავი, დედა გორელი სომეხი ვაჰრის ალიხანოვის ქალი. პატარა და-

ვითმა რომ ფეხი აიღვა, მამა მისის ოჯახი საე-სე იყო ქართული სცენისა და მწერლობის მოყვარულებით, სამის წლისა თუ იქნებოდა, როდესაც ქართულმა დასმა პირველი ქართუ-ლი წარმოდგენა გამართა, ხოლო ჯერ კიდევ ანბანსა სწავლობდა, როდესაც „ცისკრის“ პირველი ნომერი გამოვიდა. სასწავლო ჰასაკ-მა რომ მოუწია, მამამ გორში მიაბარა კერძო ოჯახში სასწავლებლად, შემდეგ პანსიონში გააწესა, პანსიონიდან აღესაში იქნა გადაყვა-ნილი 1860 წ. 1867 წ. დავითი ნოვოროსიის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულ-ტეტზე, მერე საბუნებისმეტყველო განყოფი-ლებაში გადავიდა. ორის წლის შემდეგ გადა-ვიდა პეტერბურგს სამკურნალო აკადემიაში, იქ დიდხანს ვერ დარჩა და 1871 წ., ავად-მყოფობის გამო, სამუდამოდ დაბრუნდა სამ-შობლოში. აქ ცოლად შეირთო მარიამ ზაქა-რია სარაჯიშვილის ასული, შეეძინა ერთად ერთი ასული ელისაბედი, რომელიც ამ ჟამა-დაც ქართულ თეატრის და მწერლობის დიდი მოყვარულია.

რუსეთიდან დაბრუნებული დავითი 1871 წლიდან გაერია თბილისის ქართველ საზო-გადოებაში. ქართველ ინტელიგენციასთანა, დამოკიდებულების გარდა, დავითს მისელა-მოსელა და კავშირი ჰქონდა რუსებთანა და სომხებთან. ეს ის ხანა იყო, როდესაც ქვეყნის საუკეთესო ძალნი კულტურულ დაწე-სებულებათა შესაქმნელად იღვწოდენ, ის დრო, როდესაც ჩვენი საზოგადო ცხოვრების სარ-ბიელზე გამოხული აყვენ ჩვენის ქვეყნის სა-უკეთესო შვილნი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლოძე, ლ. თუმანიშვილი, ივ. მანაბელი, სერ. მესხი, ი. გოგებაშვილი, და სხ. ერთი სიტყვით ის წრე, რომელსაც ძვალბრძოლა გასჯდამოდა უკედა-ვი მგონის ზემორე მოყვანილი სიტყვები. და-ვითი მათში ჩაერთა და უანგარო შრომით ჩვენის ერის კულტურულ საღარბო თავისი წვლილიც შეიტანა...

ჩვენი ხალხის სიკეთე და ბედნიერება წარ-სულში არ არის, იგი მომავალშია, განვლილ ხანაში სახარბიელო ბევრი არაფერია, მაგრამ ამ ჟამად არ შეგვიძლია მადლობით არ მოვი-



სენით ის ადამიანები, რომელნიც ღრმა რწმენით გატაცებულნი სამშობლო ქვეყნის დაწინაურებისათვის შეუდრეკლად იღწეოდნენ...

დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია სულიერ კოტრობას განიცდის, მშობლიურ ქვეყნის მოწვევით უხსოვრსაც ვერ შესთვისებია, განგრებულა ორთა შუა და თითქოს არ უწყის საით წავიდეს, რასმოკიდოს ხელი... ყველაფერში აკუნტრუკებული დარბის, დახტის და ანგარიში ვერაფრისთვის გაუწევია... ყველა ცალკე „დიდი კაცია“, ერთი მეორესთან შეკავშირებული კი... თითქმის არაა. უმეტესობას თავისი თავი დიდ მოღვაწედ მიანჩნია, მხოლოდ მის საქმიანობას-კი შინაარსი არა აქვს... დაწერილმანება საზოგადო ცხოვრებაში უდიდობა, ურწმუნობა, ყოველივე თავისი ქვეყნისა და თავისიანის არაფრად მიჩნევა, მტრობა, შუღლი, ურთიერთის გაუტანლობა, მაღალს იღებებს სჯა—კამათი, ზეკაცობის დაჩემება, ნამდვილად კი პირუტყულ ინსტიტუტებით გატაცება, მოქალაქეობრივად და ადამიანობის არ ცოდნა, აზრითა და სიტყვიტ ვაჭრობა, ყველაფერის ხელის მოკიდება, ნამდვილად კი არაფრის შეემცნება, პიროვნების დახრდავება, თვის ქვეყნის სიკვდილ-სიცოცხლის პირობათა სრულიად შეუწევლობა და სადღეისო, ჯამბაზური პატივიმოყვარეობით გატაცება, სულიერი სიმბინჯე,— არ ახასიათებს, ჩვენის სსოკავაჟის დიდს უმრავლესობას...

და რაოდენათუ უფრო ვუვიკრდებით დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ვგრედ წოდებულ საზოგადო მოღვაწეთა უმეტესობას, იმდენად ბრწყინვალე პიროვნებად გვეხატება განსვენებული დაკით ერისთავი.

დ. ერისთავი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე მუშან გამოჩნდა, როდესაც ჩვენს საზოგადო სტენას საძირკველი უნდა ჩაპყროდა. დაკით ჯერ კიდევ სიყრმიდანვე სწვრდა ლექსებს, წერილებს და სტენის მოყვარეთა წარმოდგენებში მონაწილეობდა რუსულად. ხელოვნების უღრმესი პატივისცემა, მწერლობის სიყვარული, მამამისის ნაპოქმედარის—ქართული თეატრის აღორძინების აზრი იმდენად ჰქონდა ძვალბობში გამჯდარი, რომ თავდაუწყებებით შეუდგა მუშაობას ქართული თეატრის საქმეს, სიტყვით თუ საქმით, თეორიულად და პრაქტიკულად. 1879 წ. წარმოდ-

გენების გამგე ამხანაგობის-მიერ იგი მიწვეულ იქნა ქართულ დასის რეჟისორად. დაკითმა კარგა იცოდა, რომ „სიტყვა თვინიერ საქმისა მკვლარ არს“, მით უმეტეს სათეატრო სარბიელზე და იგი, მაჟ მუშაობასც გულმოდგინეთ უძლეობდა. აი, როგორ ახასიათებენ მის ახლო მცნობნი „დაკით იყო ჩვენი ნორჩი თეატრის ნამდვილი ლალა. მისგან ნათარგმნი პიესების როლებს ის თავის ხელით უწერდა არტისტებს და უმეტედავდა გეოქტორავით.“ — ამბობს დ. ერისთავის ბიოგრაფი ი. მენუარგია.

„ნამდვილი მოყარული თეატრისა და ხელოვნებისა, თვითონაც არტისტი და დეკლამატორი, განვითარებულის გემონების, ცოცხალი ხასიათის პატრონი დაკითი სათავეში გვედგა... აქ როლს არივებდა, იქ დეკორაციებს ამზადებდა, ერთს ინტონაციას უსწორებდა, მეორეს როლის ხასიათს უხსნიდა, მესამე მკერავლთან მიჰყავდა. სულ ჩვენთან იყო და როგე მოგვეშორდებოდა, მაინც ჩვენს საქმეს—თეატრის საქმეს აკეთებდა: გამოუბრენდა თავის ნაწნობებს და თეატრში იწვევდა: „აბა, მოდიტ ნახეთ რა ნიქიერად ითამშებენ ჩვენი არტისტები და ნამდვილი სიამოვნებას მიიღებთო! დაკითი მეტად რე მკაცრი იყო, თუ ქართულ სიტყვას დაამახინჯებდა კინმე სტენიდას:

— ყველაზე პირველად ქართველმა აქტიორმა ქართული ენა უნდა იცოდეს! თორემ ეს რასა ჰვაეს? (დაკითის სიტყვებია).

არ მახსოვს იმაზე მეტად თეატრისა და ხელოვნების მოყარული კაცი. იმის უღრმოდ გარდასტავლებით ჩვენი თეატრი ბევრით დაქვეითდა“.

ასეთი სიტყვებით იგონებს განსვენებულს დ. ერისთავს კ. მესხი.

დაკით ერისთავს, როგორც პიესების მთარგმნელ-გამომოქეთებელს დიდი ამაგი მიუძღვის ჩვენის თეატრის წინაშე. ათამედ პესა შესძღვნა ქართული თეატრის ბიბლიოტეკისა და, სხვათა შორის, ფრანგულიდან გადმოაკეთა „სამშობლო“, რომელიც ჩვენს ისტორიას მოხერხებულად შეუთანხმა: ამ პიესას დღესაც ჩვენს რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავია. მისი დანარჩენი პიესები თანამედროვე ცხოვრებიდან არის ადგილული, თავის დროზე ბევრ გზის დადგმული.

როგორც კურნალისტი, იგი უმწიკლო,

დამოუკიდებელი და საკუთარი რწმენის კაცი იყო: მუშაობდა რუსულსა და ქართულ დრო-გამოშვებით გამოცემებში.

„დათიკო ერისთავი ბევრად უფრო გამკრიახე და ჭკვიანი იყო, ვინც დანარჩენი წყერები... ხორისი, —სწერს ნ. ნიკოლაძე „თ. ფ.“ რედაქციასთან ერთი უსიამოვნო ამბის გამო: — როცა „Обзор“-მა „თბილისის მოამბეს“ ნამდვილი მიმართულება და მიზანი გამოაქვეყნა, დათიკომ დიდი პატიოსნებით აღშფოთებული წერილი მისწერა ამ გაზეთის რედაქციას, თქვენთან დარჩენა და ერთად შრომა არ შემიძლიაო, და მართლაც სამუდამოდ მოშორდა მის წრეს, თუმცა მისთვის ეს ბევრად უფრო ძნელი იყო, ვინემ დანარჩენი ჩვენს ვითომ—შეწრლებისთვის, რადგან სომხობასთან მას ნათესაობრივი კავშირი და მატერიალური დამოკიდებულება ჰქონდა მრავალ მხრეოვანი“.

დავით ერისთავი ერთ ხანად „კაჟახის“ რედაქტორადაც იმყოფებოდა.

იყო საუცხოო მკითხველი, განკითარებულ-ლი და გონება-ფიზიკლი, შურტყეველი, პატიოსანი და უნაგარო, თავის ქვეყნის შედგენით მოყვარული,

„დავითი იყო სიტყვის კაცი, ბევრით, მუსყათი. ის ყველაფერს თავის დროზე აკეთებდა... სიტყვა „დამაიწყდა“ მისთვის არ არსებობდა... იყო მოძრაი კაცი, მუდამ ახლის მძებნელი“... ასე ახასიათებს ი. მუენარჯია.

როგორც რეისორი, სწენის მოთხოვნილებათა მცოდნე, ენის სიფაქის დამცველი—დავითი დიდს დაკვირვებას იჩენდა.

როგორც მამულის მოყვარული, ყველა მიხვდება, რად იჩნებოდა დავითი, ვინც ერთხელ მაინც ნახავს „სომხაიას“ და მოისმენს ქართულ შეთქმულთა სიტყვებს, გაიგნობს. სე ლიონიდის სულის კვეთებას...

დავითი გარდაიცვალა 1890 წ. 11 ოქტომბერს, დაბადებიდან 53 წლისა, ასე რომ ხელო მისი გარდაცვალების სწორედ ოცნწლისა ათავა. გარდაიცვალა ღირსეული მამულისშეილი, მაგრამ მისი უკუდავი სული კიდევ ქართულ თეატრში ტრიალებს... დავით ერისთავი დიდის ამბით იქმნა დასავლეთეული თბილისში, კალოუზნის გელესის გალოვანში. მის საფლავს აღ-გია თეთრი მარმარილოს ძეგლი, დავითის

ბიუსტიტურთ, რომელსაც ამკობს ჩვენის უბ-რო მგონის აკაკის ხელოუქმნელი ძეგლი, ოთხ-სტრიქონიან ლექსით გამოხატული:

„ძღუნად და საკურთხად, სამარადისოდ, სიმოქვეყნო და საამოსლო, ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა სამშობლოსთვის დასდა „სამშობლო“.

ცხადია, დ. ერისთავისა და მის მსგავს მოღვაწეთა ხსენება არ გაჰქრება ჩვენის ერის მესსიერებიდან, არ გაჰქრება იმიტომ, რომ მათ მტკიცედ სწამდათ და შეგნებული ჰქონდათ მგონის უკუდავი სიტყვები:

„მისდა მსე ვაჟა, რომ სხიენი ჩემს დღეთა გარე მოკავლო, სალამოს მისთვის ჩავიდო, რომ დილა უფრო კაცნოლო!“..

მამ ჩვენც დღეს მადლობით მოკვიგნოთ სახელი მისი, ვინც მადლითა თვისითა შეამკო ქართული თეატრი... ი—ი

დავით ერისთავი, როგორც რეისორი

(მცირე მოკონება)

მას შეუდგე კარგა ხანა. ქართული დასა „მეორედ გაქმანულია... ას ადგანდა. დავათა ზირეულ რეკიმი აუდა, უნდად ტუეა-სარეუსავით დარაზხანს გაჯადა და სენესზე შეაჭარს.

— რას, ეგ შეუდგედილი, ასეთი მარტავი რამის არცოდან არავის ენატავებს.

ყველანი სულ განსიულენა უსტენდენ. — რა დგეჰმართა, ქალა! — მაშართა ერთ მსახიამს ქალს: სადარაზხად მოდახართ ერთას წყითათ და მლიაზს ახდით? — მეტადრე მაშან, რადესეც მასნისხელს თქენითვის არ უთსაჟინა.

— შეუდგე, ქიაზო! ან და რა არის მისეც სკვირეუელი, შე ცხივრებაში მუდამ ელქსით დაუ-დავარ ხაღძე.

— მართადაც, მგრამ ვერ ეს ერთა: რადგანეც მსხიობა ხარ, სკვირთა ყველა წვრიალმანა გეს-მოდეს. ამს გარდა: სუთუ არათეე წამათ რომ მა-დიხარ სხვაჯან, მოსხეუეს ეა ახდით? — მწარედ გადისარხნო და დარაზხაში გაჯადა.

განსვენებული თავადი სმონად დაარეობად სენესზე. რადგა ზეესანს არდგესდენ; ერთ მსხიობას ქალს უნდად მისწვდა და აბასი ბილი აჟწია.

— რას შერეათა, თავადო? შეერთა ქალა.

— არაფერა, სკვირთა ვინდაე, რამდენსაეც გარეკანა ტანსცემულა გავით სეფთა, ასევე ქველდ თუ არა? სენესზე გაჯაუეს და არაეუთა სხვადასმანა იქსება, რომ ჭეჭეათია წინად ან თუეა დგანახნათ.

სოსო

Handwritten notes and signatures at the bottom of the page, including the name 'სოსო' and other illegible text.



# ც ე ც ხ ლ ი

წყარო ჩანჩქერ-ნაკლისა, მოკაშაშე თხემი მთისა,  
 ვით კვარცხლბეკი ლაფარდ ცისა, ამაყ სვეტად აზიდული,  
 დაულეველ ცრემლის დნობით, გაცივებულ, გამქრალ გრძნობით,  
 ვარსკვლავებთან ცივ ტატნობით საუბრობდა გარინდული.

ციურ მნათობთ იღუმალი უნაპირო სივრცის თვალი,  
 ვით სამოთხის ნაბერწყალი მწვერვალს მთისას უტინოდა,  
 უსრულებელ ჟამთა ქროლვა, პირველ-ყოფილ ცეცხლის კროლოვა,  
 ქვეყნის არსთა სულის ლტოლვა სხივთა კონად მოპფენოდა.

მასში იყო ჩასახული სიციცხლისა გაზაფხული,  
 უხილაგი, დაფარული საიდუმლო ქვეყნის ბედი,  
 ძალა ვარსკვლავთ წარმომშობი, ცეცხლის მფრქვეველ მზეთა მქრობი,  
 ცვალებადი და უნდობი, სუკუნეთ ჯაჭვის მქედი.

ცვარ-ანკარა ნაკადული, თოვლის ფიფქში მიმაღული,  
 ხმა-ჩამკვდარი, განაბული, ყურს უგდებდა თხემის ჩურჩულს,  
 საიდუმლო მოიპარა და ცელქ ნიავს მიაბარა,  
 მთა ლიკლიკით მოიპარა, ბარს ეფრქვია პირ-მოქუმულს.

ნიაგმა კი ფრთა გაშალა, მთიდან ნისლი გადალალა,  
 ცვარ-ნამს სხივი აცალა და ჩაუქრო წალკოტს ღიმი,  
 ვერ დამალა მონაბარი, აკვენესა მთა და ბარი,  
 ფრთა შეიშრო ნამ-გამდნარი, ამითრთოლა სმენის სიმი:

- „ჟამი მიჰქპის, ჟამი კვდება, ცეცხლით ქნილი ცეცხლში ჰქრება,
- „ცეცხლად ღვივის ვარსკვლავთ კრება, მარიხი და ოტარილი,
- „ცეცხლი არის მხოლოდ ერთი—რღვევის ძალა, რისხვის ღმერთი,
- „სამივ ღრითა შემავითი; არსებობის გზა და ხიდი.
- „იგი არის ჯოჯოხეთი, ბნელ-ბურუსის ალით მკვეთი,
- „მოძრაობის შემომქმედი, ოქროს მფეთქი შადრევანი,
- „ელვა მქრელი, მეხ-ტალ-კვესი, პრომეთეის ამაყნესი,
- „სიციცხლისა უხვად მთესი, მისი კუბო და აკვანი...“

## ს. აბაშელი

### „ქართულ სენის ერთ ღირსეულ მუშაკეთაგანის იუბილეს გამი“

ამ სათაურით ერთი წერილი მოუთავსებია ა. ვასპარიანს\*) სომხ. ვაზეთ „მშაისი“ მე 218 ნომერში, რომელშიაც შემდეგს სწერს: „ქართულ სენის დამამშვენებელთაგანი ერთიც მ. მ. საფოროვ-აბაშიძისაა, რომლის სასცერო მოღვაწეობით უნაწილობით გადახდას აპირებს ახლო მომავალში ქართველი საზოგადოება, რითაც უნდა დააფასოს თავის ნიჭიერი მსახიობი-ქალი.

გარდა ამისა, რომ ზეტუფეშული იუბილარი ქართულ სენის უზარეულეს მსახიობთაგანაა, მისი პიროვნება ჩვენთვის ამ მხრეაღ სკვლავისმთაა, რომ იგი ტომით სომეხია.

მარამ საფოროვა მუქლდა ქართულ სენის ნაჭიერა კამაყის ვასო ააბაშიძის და დედა ტასო

აბაშიძისა. ასე რომ მშა, დედა და ქალა ქართულ სენის ვარსკვლავთაგანი არაა. და თუ ამის მოუხატეოთ იმასაც, რომ მ. საფოროვ-აბაშიძის მხაც მსახიობაა, მამს სურათა მთავანაი ექნება. თუბილარს თუქც ამ ბოლოს დროს ვადაშუთავიასი გამო თავი გაუხეუთა სენისათვის; მაგრამ ხსნდა ხს მთავანადამას დეოქლავს სილამე.“

შემდეგ ბ-ნი ვასპარიანი სწერს მის აბლუ-ას შესახებ და ახასიათებს. წერილი თავდება შემდეგის სიტყვებით:

„მადლიერ ქართულ სსოვადოქსთთან ერთად სიმეხსა სსოვადოქსთაც თავისი უზარეულეს მოვად-ოლობთ უნდა ჩთავალს და თავისი მომისი უნაწილობით სუთოქერა შრომის დაფუქსით მას მოსუქევის დროს მტკრადლურათ დახმარება დამოქინხოს. ეს არის სსოვადოქსთის მოვადოქსთა“.

\*) ჩვენის კურნალის. დანამშრომელი Artemius—ი.



ბ. ახობირელი

### შენება და სიყვარული

დრამატული ზოგა სმ ნაწილად  
(ძღვნად ჩემთ გულითად მეგობართ,  
დათიკო აწყურელს და შალვა დადიანს)

#### მ რ ბ რ ნ ე ბ ა

ზღვისა ზვირთებო, შეუბოვარნო,  
რად მიეფარეთ ჩემს ნათელ თვალსა?..  
ღღღღღღის გულის ტუბოლ სახსოვარნო,  
რად არ მიკიდებთ კვლავც ცეცხლის აღსა?!.  
ვით ბავშვი ეტრფის მინდვრისა ყვავილს  
და მასში ხედავს სიცოცხლის შეგებას,—  
ეგრევე; ზვირთნო, სულს ტანჯვით აღვისლს  
თქვენ გადმოსცემდით ცის ნეტარებას.

რა რიგ მიყვარდა, როცა საღამოს  
მზე თქვენის კიდით წითლად ჰქრებოდა  
და, ცის სარკნო, ღღის შუქს საამოს  
თქვენს გულზე თვალი ეხუჭებოდა.  
მაშინ მთოვარე, ნათლის მთოვარე,  
ღამის მუფედ გარდიქნებოდა;  
ყოველი არსი, ყოველი მხარე,  
თითქოს მოკვდაო, მიუყრდებოდა.

აწ განკრა ჩემთვის იგი შენება!  
ზვირთებო, ნაცვლად თქვენის სრბოლისა,  
შავი ღრუბელი სულს ეფინება  
და სამუდამოდ ცეცხლი ბრძოლისა  
წამართვა შემა ღამის გრივალმა...  
ეზი მწარ ფიქრებში გარე-მოკული.  
მსურს ერთხელ კიდევ გიხილოთ თვალმა  
და მერე, დეე, მომიკედს გული!..

—:—:—:—

### ნაწილი პირველი

#### ვ ე ლ ა დ

**შიში** (ჩეზე ზის მოაერუნსხელი)  
**ძიძა** (დადონეული და თვალ-ცრემლიანი მუხის  
ძირს შეჭყურება)

**ფერიები** (ველზე ისეჩეუენ. ჭეჭა-ქეხილია)

**შიში.** ეთერს სძინავს ცის გულზე,

ღღღღის ნათელი კრთება;  
ციაგი-თვალთ მუფეფ—  
მთების გაღღღღი კედება.  
ფერსა იცეღღის სამყარო,  
სულ სხვა რიგ იმართება;  
შავი ნისლი მთის თხემით  
ზეცამდე იმართება.

სეჭეჭ და მიჰქრის ღრუბელი,  
აპობს არე-მარესა;

პირქვე ამზობს ვარსკვლავებს,  
კლანჭებს ესვრის მთვარესა.

შორს ავ-სული გაჰკვივის,  
იორკეცებს შეგებას;

ქედს იხრის და აღიდებს,  
ზნღღის უეკვადებასა.

მსგავსი ღამე საზარი,  
ნუმკ დამდგარა ნუროდეს;

სიკვდილსა მოგანატრებს  
გინდ სიცოცხლე გწყუროდეს.

ვინა სცოდა უფელსა,  
მალღღს, მარად მყოფელსა,

რომ დაატება მეზი  
ვერგე წუთისოფელსა?!

ამირან თუ აეშვა  
კავკასიის ქედითა

და მთა და ბარს, ტანჯული,  
არყეცს ძლიერ მკერდითა?!

ვაჰ, თუ ღმერთებს წაართვისა?  
ცეცხლი მიმქრალ გულისა?!

ვაჰ, თუ დადგა დრო-გამი  
სოფლის აღსასრულისა?!

**ძიძა.** არა, ქალი ავად არის,  
ნაზ-ნარნარი, შუის საღარი;

მიტომა, რომ ირყევა  
მალღღა ცა და ძირს მთა-ბარი.

მისი მსგავსი სამყაროში  
სხვა საუნჯე არ საუნჯავს;

ის ღმერთია და იმის წინ  
ყოფილი არსი სდუმს და მუნჯობს.



როცა კრთიან მზის სხივები,  
ციმციმებენ, თამაშობენ;  
თვალსა და გულს იტაცებენ,  
ლაღობენ და ნარნარობენ,—  
შეიგენით: მას ეტრფიან,  
მის შეენებას შეამკობენ;  
„მისთვის ხელნი, მისთვის მკედარნი,  
მხოლოდ მისთვის აშკიკობენ.

—  
როცა მთვარის ნელი შუქი,  
ილულება, კვდება, დნება  
და მცხრალ მთვარეს, სვედიანი,  
წუთის შეებას ევედრება,—  
შეიგენით: მისთვის უნდა,  
მის შეენებას ენაცვლება  
და ნელიად, შეუშნველადა,  
დასტრფილუმს, თავს ევლება.

—  
როცა ბაღში მარგალიტის  
შადრენები ჩუჩუნითა  
ზე იწევენ და ავსებენ  
ჰაერს სანეტარო ხმითა,—  
შეიგენით: ითრობიან  
მის შეენებას, სიამითა  
და ყოველ მის წამწამთ რხევას  
ემშობიან გულის კვლითა.

—  
როცა სტირის ყარამფილი,  
კისფერ იას ფერი კრთება  
და ნარგიზი ტბის წიაღში  
ნაღვლიანად იმზირება,—  
შეიგენით: მას ეძებენ,  
ყველა მისთვის იღაგება;  
რა ვერ ხედვენ, გულს იკლავენ  
და აღარ მსურთ აყვავება.  
(ფერაუბა ძიასთან მოგროვებულია)

- 1 ფერია. მაშ, ასულო, გულ მტირალიო,  
თუ მაჩვენებ ტურფა ქალსა,—  
მე განეკურნავ, შევიყვარებ,  
მე გაუქრობ ცეცხლის აღსა!
- 2 ფერია. მე მარგალიტს უხვად მიეცემ  
ნატერფალთა დასაყენად;  
ცად აღვიყვან, ავამიღებ,  
რომ გადვიტეთ ორნივ ლხენიდა!
- 3 ფერია. მე ვარსკლავი მოუწყვიტო,  
შეების ცეცხლი მოვიპარო;  
წინ კვარცხლბეკად გაუშალო

მალა ცა და ძირს სამყარო,  
მის არიფად გადავიტყე  
და აროდეს გაეყარო!

- 4 ფერია. უხვად ვასეა ბალსამოსი  
მზეს, მზის შეღოსა, მზისა დარსა  
და მის არეს არ ვაკლებდე,  
მაცოცხლებელ ნიავ-ქარსა!

ყველა ერთად. მაშ, ასულო, გულ-მტირალიო,  
თუ გეაჩვენებ ტურფა ქალსა,—  
ჩვენ განეკურნავთ, შევიყვარებთ,  
ჩვენ გაუქრობთ ცეცხლის აღსა!

ძიდა. ბაღას ვიყავ, ბაღა ვნახე,  
მთვარე იყო სანახავად,  
ვარდი მღერდა, მას ბულბული  
ზე დაჰყვებდა გულ-საკლავად.  
ვარდასა უთხარ: ვარდო, ვარდო,  
შეიბრალე ტურფა ქალი,  
წა იქ, მასთან გაიფურჩქნე,—  
გვედრები მომტირალიო!  
მითხრა: „ვიცნობ, მაგრამ ჩემგან  
იმას შეველა ვით ეგების?

ყოელი არსი მისით სკოცხლობს,  
ყველა მისით იკურნების!“  
ბულბულს აჯა გაუმართე:—  
დაეხმარე ფერ-გამკრთალსა,  
რად იფიწყებ შენს მალხენარს?!  
რად ღალატობ სამართალსა?!  
მანც მომიგო: „ვიცნობ, ვიცნობ,  
მას სახელად სძევს შეენება;  
მასთან ყოფნა, მასთან კლამა;  
როდის იყო, არ მენება?  
მაგრამ ვაი! ვერ განეკურნავ  
ჩემი მომხიბლავი ხმითა  
და აქ მინდა ვივაგლახო  
სახემ სევდ-კაემნითა!“  
მას დაეხსენ, მის მახლობლად  
ბროწეული დაეინახე,  
არაა უთხარ... ისედაც ვარს  
მოჰხვევოდა სივავლახე.  
ვარდის ფერი რამ მიხაკი  
შეჰყურებდა წაბლის ხესა  
და წაბლის ხე ზე აფრჭვედა  
კრემლის მღულარეს, კრემლის დამწველსა.  
ნარგის ყელი გადვიტარა,  
სევედით გული გაეგმირა,  
ზამბახს თავი დაცაქქნო,  
სასიკდილოდ გაეწიარა.

ჩემსა პირველ ყვავილას,  
 მონარნარსა, გულ-დამტვარსა;  
 ვერსად ვკვრეტდი, გადეტანა  
 შორად... შორად სვედის ქარსა!..  
 ყველა სტირდა შვეტიბისთვის,  
 ყველა კენესდა მხოლოდ მისთვის  
 და ვერაფრით ვერ ეშველა  
 მოვლევარ დილის მზისთვის!..

ოქვენცა, ზეცის ტურფა ქაღნო,  
 დობილნო და სულის სძაღნო,—  
 მას ვერაფერს ვერ უშველით,  
 საამო ხმით მომღერაღნო!..

**ფერიები.** არა, ქალო, მომტირალო,  
 გვაჩვენევი მისი ბინა;  
 შევიყვარებთ... სიყვარულმა  
 ნეტა ვინ არ მოარჩინა?!

**ძიძა.** უფრო მიგდეთ, მოკლედ გეტყვით  
 მე იმის თავ-გარდასავალს  
 და ერთ წუთად გადავაქცევ  
 ორმოცი დღის საგზალ სავალს.

## I

მზეც იყო და მთვარეც იყო,  
 ცაზე ვარსკვლავები კრთოდნენ,  
 უსულო და სულიერნი  
 ბუნების ძალს შეამკობდნენ.  
 ადამისა შთამომავალთ  
 ერთი ვინმე ერჩეოდა;  
 ცის და ქვეყნის მადლ-კურთხევა  
 ორივე ერთათ ემზნეოდა.  
 მან ჩააქრო მთვარის შუქი,  
 მან წაართვა ძალა მზესა...  
 როცა ნახათ მაშინ იგრძნობთ  
 მის შვენება-სიტურფესა.  
 სახელად სძევს „სიყვარული“,  
 ვაჟ-კაცია საროს ტანის;  
 ყველა იყო მონა და ყმა  
 მომზიბლაგის, გულ-წამტანის!  
 მაგრამ ის სულ სხვას ეძებდა:  
 თავისვე მსგავს, თავის დარსა;  
 დადიოდა სოფელ-ქვეყნად,  
 მრავლად ღიზდა მთა და ბარსა  
 და აჰა, აუსრულდა  
 საწადელი გულის მწველი:  
 მან იხილა ტბის ნაპირას  
 ქალი სანატრ-სასურველი.  
 — შვენება ხარ ამა ქვეყნის!—  
 გადასძახა ვაჟმა ქალსა...

ქალმა უთხრა: „შვენება“ ვარ,  
 გამოიციან... არ გდებ ბრალს!  
 დიახ, თურმე მის სახელი,  
 თვით „შვენება“ ყოფილიყო,  
 რომლის მსგავსი სიტურფეთა  
 ჯერ ქვეყნად არ შობილიყო.  
 შეუყვარდათ ერთმანეთი  
 შვენებას და სიყვარულსა;  
 გადააქადეს, შეურთეს  
 სული სულსა, გული გულსა!  
 ერთი წუთის განშორება,  
 უკიდებდათ ცეცხლის ალსა  
 და მარადის აღმერთებდა  
 ქალი ვაჟს და ვაჟი ქალსა!..

## II

რაა ქვეყნად საზულამო,  
 ერთგან მყოფი, შეუცვლელი?...  
 ყოველ წუთში სახეს იცვლის  
 ეს სოფელი, გულის მკვლელი!..  
 შხამ-ნადველსა და სამსლას  
 ვინ იყო, რომ არა სვამდა?  
 ვინ იყო, რომ ქვეყნის ვარამს  
 საბოლოოდ გაუმკლავდა?..  
 სიყვარულსაც ზეცის რისხვა  
 დაატეხა შავმა-ბედმა  
 და ცრემლთა ზღვით გამოუგოს  
 თვალნი ყოვლის შემოქმედმა!..  
 მის შვენება, მზის სადარი,  
 ავად გახდა, იკლავს გულსა  
 და ჰირთ წამალს ევედრება  
 მისთვის ხელ-ქმნილ სიყვარულსა.  
 რა არ სცადა ბედით-კრულმა,  
 რა მალამო არ იხმარა,  
 მაგრამ თვის ღმერთს შვენებას  
 ვერაფრით ვერ დაეხმარა.  
 ქალი კვდება, ცრემლად ღნება,  
 სიყვარული თავს ევლებდა;  
 ერთ ადგილას არ ჩერდება,  
 სოფელ-ქვეყნათ იარება,  
 მაგრამ ვერაფერსა ჰშველის...  
 თქვენც ავრევე ვერ უშველით...  
 და თუ ძალ-გიძთ განკურნება,  
 მე წაგიყვანთ... იახელით!

**ფერიები.** ასე, ქალო, მომტირალო,  
 გვაჩვენევი მისი ბინა.  
 ჩვენ აღვადგენთ... ჩვენმა ძაღლმა  
 ნეტარ ვინ არ მოარჩინა?!



ძიძო. ჩუ, აგერა აქეთ მოდის  
სიყვარული ბედით-კრული;  
ხმა გაეცით... ასიამეთ...  
მოურჩინეთ გულის წყლული!  
(ვეველანა განსუ გაღკებანს. ირავრავებს. შემოდის  
სიყვარული. სსჩუე ნამეტეა ფერა ღადრ აქეს)

**სიყვარული.** მე შენ გიგონებ, ცის შვენებო,  
ღამეს მიმქალსა, თუ ნათელ დღესა;  
გაეისკეცე ოხვრა-ვაება,  
მიწის წიაღსა წავართვი კენესა  
და მსურს მარადის ცრემლად ვენებოდე,  
სიკოცხლეს ჩემსა ვესაღმებოდე;  
ვითა პებელა ყვავილს, აგრევე  
მეც შენს სიკოცხლეს გარს ვეველებოდე!..  
(ხს ძირს მიესყენება)

მახსოვს, აი აქ ვისხედით ორნი,  
სულით და გულით შვერთებულნი;  
თვალს ვადევნებდით ვარსკვლავთა სრბოლას,  
სოფელ-ქვეყანას და შორებულნი.  
ღურჯად გადაშლილ ცის კამარაზე  
მთვარე ნელიად მიმოსტრავდა.  
ღრუბელი-ღრუბელს ჩაჰკონებოდა  
და ნეტარების ცრემლსა სწურავდა.  
სიხუმე იყო... ჰარი არ ჰქოდა...  
ნიაგს შრიალი დაჰვიწყებოდა;  
ხისა ფოთოლი არ ირხეოდა,  
ტყე, მწვანეთ შლილი, ძიღს მისცემოდა!..  
ოჰ, რა კარგია ბუნების მხერა  
როს ბადრი მთვარე დაჰმზერს ტყე-ველსა;  
გული ჭვითინებს შვებით აღსილი,  
სული ეძლევა სასუფეველსა.  
მაშინ, ვინც გიყვარს, ესურს ზე დაადნე,  
ორი არსება გარდაჰქნა ერთად;  
მისცე ტანჯვანი დავიწყებასა  
და ის გახადო შენ სულის ღმერთად!  
მაგრამ ყოველსა ბოლო ჰქონია...  
სიხარულსა სცელის-ნაღველ სიმწარე.  
დღეს თუ გინათებს, ხვალ ჩრდილს გადიფენს  
და დაბნელდება შექმენი მთვარე.  
ასრე დაბნელდა ჩემთვის ყოველი,  
ვაიმე ტანჯულს, ვაჰმე წამებულს;  
საით მოეძებნო სევდის წამალი,  
ვინა მცემს ნუგეშს სულს დაობლებულს!..  
მოსძებნეს გრდემლი ზღვისა წონისა,  
ბოროტ სულგება გააკრეს ცასა,  
გაუშვეს ხელი და სასიკვდილოდ  
ზეციით დასტყორცნეს ჩემს ბედ-შავ თავსა!

მკვდარი არა ვარ—სული მიკენვის...  
გული მიტირის, ოხრავს, ვალაღებს;  
სისხლის ცრემლითა ვათვე დღე-ღამეს!...  
ძილი გამიკრთა... ვაი ჩემს თვალებს!...  
ძალო, უხბოდა ღამის შექმენო,  
კით ნათლის სეტად გადმოშვებულო;  
სოფლის მეუფევე, მიუკარებო,  
სულის საღონად გაბრწყინებულო,  
გამომიწოდე ხელი მაშველი,  
განკურნე ჩემი მაკოცხლებელი;  
ან მასთან მომკალო, ნუ განმაშორებ,  
მსურს ერთი გვეკონდეს სამკვიდრებელი!..  
(ფერაჟი წინ წამოადგის)

**1 ფერია.** მისმინე ჩემო! გაზაფხულის ჟამს  
თბილი ჰაერი რა დაჰქოროდავს ველს, —  
ტყევე, მთა და ბარი აყვავილდება  
და სასიკოცხლოდ გაშლის მკლავს და ხელს!  
ქვეყანა მაშინ ჰგავს სამოთხესსა,  
ჯერ არ ნახულსა, მიუწოდომელსა;  
სიკოცხლის წყარო ჰარბად ჩუხჩუხებს  
და შვების ცრემლი სცივა ყოველსა.  
მაგრამ წამოვა შემოდგომისა  
გრიგალი მკაცრი, შეტუზვარი, —  
ტყე გაიცრცენება და ნიაგ-ჰარსა  
შორს გადაჰყვება ფოთოლი მკვანარი!..  
უღვთოდ კვდებიან ტურფა ყვავილნი,  
შემამკობლნი გაზაფხულისა;  
მოგონებდა გვიტკობს სიკოცხლეს  
და წუთის შვება მოკლულ გულისა!..  
გამოცანა ამ სოფლის სახე;  
ხან შვება იცის, ხან სივაგლაზე!

**4 ფერია.** ასეთი არის თვით ბედის წერა!  
**სიყვარული.** მიწამებია... ოჰ, მრწამს და მჯერა!

**2 ფერია.** მოკრიალებულ ცის კამარაზე  
ვარსკვლავნი კრთიან — თვალ-ღამაზები;  
უხსნიან ერთუთოს სევდა-კამანს,  
სიკოცხლის მნათნი და მალხაზები.  
შავი ღრუბელი, ვით გველუშაა  
აეფარება, სულს გაუმწარებს;  
ამაოდ ეძებთ ცისა სივრცეში,  
ალარ აშუქებს, ალარ ნარნარებს!..  
გამოცანა ამ სოფლის სახე;  
ხან შვება იცის, ხან სივაგლაზე!

**4 ფერია.** ასეთი არის თვით ბედის წერა!  
**სიყვარული.** მიწამებია... ოჰ, მრწამს და მჯერა!

